

შპს სმარტ ბიზნეს ჯორჯია

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	4
1. ზოგადი ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები	7
4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	7
5. ფული და ფულის ექვივალენტები.....	10
6. სავაჭრო მოთხოვნები	11
7. სავაჭრო ვალდებულებები.....	11
8. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	11
9. ხელფასები და სხვა სარგებელი.....	12
10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.....	12
11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	12
12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	13

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	673,424	329,778	249,241
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,386,507	863,805	806,109
გაცემული ავანსები		24,814	15,839	13,098
საგადასახადო აქტივი		15,775	-	-
სხვა მიმდინარე აქტივები		102	79	1,034
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,100,622	1,209,501	1,069,482
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		40,021	35,536	24,777
სულ გრძელვადიანი აქტივები		40,021	35,536	24,777
სულ აქტივები		2,140,643	1,245,037	1,094,259
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	339,876	206,677	227,962
გადასახდელი ხელფასები და სხვა სარგებელი		3,592	-	5,386
მიღებული ავანსები		81,004	-	-
საგადასახადო ვალდებულებები		-	136,719	110,738
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		424,472	343,396	344,086
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		35,003	34,094	40,290
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		35,003	34,094	40,290
სულ ვალდებულებები		459,475	377,490	384,376
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,681,168	867,547	709,883
სულ საკუთარი კაპიტალი		1,681,168	867,547	709,883
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		2,140,643	1,245,037	1,094,259

დირექტორი



გიორგი კოვენლუ

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	7,255,595	5,723,381
თვითღირებულების ხარჯი	8	(4,344,040)	(4,078,474)
საერთო მოგება		2,911,555	1,644,907
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	(1,619,699)	(1,285,137)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(218,807)	(152,820)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(13,471)	(9,068)
სხვა შემოსავლები		2,133	7,763
სხვა ხარჯები		(35,043)	(13,732)
საოპერაციო მოგება		1,026,668	191,913
ზარალი კურსთაშორის სხვაობიდან		(5,333)	(33,780)
მოგება დაბეგვრამდე		1,021,335	158,133
მოგების გადასახადი		(37,314)	(469)
წმინდა მოგება		984,021	157,664

კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	709,883	709,883
წმინდა მოგება	157,664	157,664
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	867,547	867,547
დივიდენდი	(170,400)	(170,400)
წმინდა მოგება	984,021	984,021
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,681,168	1,681,168

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს სმარტ ბიზნეს ჯორჯია დაფუძნდა 2018 წელს და რეგისტრირებულია მისამართზე: ნამალადევის რაიონი, იფნის შეს., N12-14/51. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 400247586. კომპანიის მფლობელები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

კირილო რუდნევი, FG036186 (უკრაინა) - 60%

გიორგი კოფენლუ, 01009018495 - 40%

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს სხვადასხვა მეწარმეებისთვის სამუშაო პროგრამების, ლიცენზიების, თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა, მართვა და პროგრამული უზრუნველყოფა. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი - გიორგი კოფენლუ (პ/ნ 01009018495), რომელიც ამავდროულად არის 40%-ანი წილის მფლობელი.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

2023 წელს კომპანიამ ჩაატარა საწყისი ნაშთების, მათ შორის არამონეტარული და მონეტარული აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია. შედეგად კომპანიამ გადაიანგარიშა და დააკორექტირა საწყისი ნაშთები. გარდა ამისა, უკეთესი პრეზენტაციის მიზნით, კომპანიამ მოახდინა გარკვეულ ანგარიშებს შორის ნაშთების გადაკლასიფიცირება.

ფინანსური უწყისები, რომელიც გადაანგარიშდა, მონიშნულ იქნა „გადაანგარიშებული“-ს კლასიფიკაციით. შედეგად, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ წარმოადგინა სამი წლის საბალანსო უწყისი. გარდა ამისა, შედარებისთვის, მსს ფასს-ის შესაბამისად, კომპანიამ ასევე წარმოადგინა გასულ პერიოდში გამოქვეყნებული ფინანსური უწყისები, რომელთა გადაანგარიშებაც მოხდა მიმდინარე პერიოდში:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	31-12-2022	31-12-2021	31-12-2020
აქტივები				
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	5	329,778	249,241	92,477
სავაჭრო მოთხოვნები	6	1,204,298	1,035,384	-
გაცემული ავანსები		14,875	14,875	14,528
საგადასახადო აქტივი		-	-	59,049
სხვა მიმდინარე აქტივები		1,758	1,034	1,034
სულ მოკლევადიანი აქტივები		1,550,709	1,300,534	167,088
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		36,262	24,777	12,236
სულ გრძელვადიანი აქტივები		36,262	24,777	12,236
სულ აქტივები		1,586,971	1,325,311	179,324
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	7	178,065	221,668	327,855
მიღებული ავანსები	7	110,825	44,739	166,574
საგადასახადო ვალდებულებები		172,256	134,919	-
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		971	6,799	290
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		462,117	408,125	494,719
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სესხები		34,094	40,290	86,983
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		34,094	40,290	86,983
სულ ვალდებულებები		496,211	448,415	581,702
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,090,760	876,896	(402,378)
სულ საკუთარი კაპიტალი		1,090,760	876,896	(402,378)
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		1,586,971	1,325,311	179,324

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი რეალიზაციიდან	8	5,754,753	4,959,482
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	8	(4,013,445)	(2,923,855)
საერთო მოგება		1,741,308	2,035,627
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	9	(186,499)	(96,495)
ხელფასები და სხვა სარგებელი	10	(1,284,997)	(644,292)
საოპერაციო მოგება		269,812	1,294,840
სხვა წმინდა არასაოპერაციო ხარჯი		(55,948)	(15,440)
მოგება დაბეგვრამდე		213,864	1,279,400
მოგების გადასახადი		-	(126)
წმინდა მოგება		213,864	1,279,274

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება (გადაანგარიშებამდე)

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2021 წლის 1 იანვარი	(402,378)	(402,378)
წმინდა მოგება	1,279,274	1,279,274
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბერი	876,896	876,896
წმინდა მოგება	213,864	213,864
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	1,090,760	1,090,760

3. მენეჯმენტის შეფასებები და დაშვებები

ფასს–ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

4. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

4.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური სავალუტო კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

4.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
-------	-------------------------------------

ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	4-8

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიანიჭოს ამონაგების კლასიფიკაცია.

4.3 მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით. 2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

4.4 შემოსავალი რეალიზაციიდან

საწარმომ ამონაგები უნდა შეაფასოს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან უნდა გამოიქვითოს საწარმოს მიერ გაცემული ყველანაირი სავაჭრო ფასდათმობა, ასევე ვადაზე ადრე გადახდისა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები.

როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა საწარმოში გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. ამონაგები არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

4.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

4.6 საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, რეკლამისა და სხვა იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც საჭიროა კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

5. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფულადი სახსრები სრულად განთავსებულია საბანკო ანგარიშებზე.

	31-12-23	31-12-22
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	669,756	328,523
უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში	3,668	1,255
სულ	673,424	329,778

6. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2023 წლის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები შემდეგია:

სავაჭრო მოთხოვნები	2023	2022
მინერალური წყლების კომპანიები	909,686	613,889
კლინიკები	401,277	212,040
სხვა	75,544	37,876
სულ	1,386,507	863,805

7. სავაჭრო ვალდებულებები

აღნიშნული ვალდებულებები ძირითადად შედგება ლიცენზიებით და საავტორო უფლებებით მოვაჭრე კომპანიების დავალიანებებისგან. 2023 წელს კომპანიის ჰყავდა 4, ხოლო 2022 წელს 13 კრედიტორი.

8. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

კომპანია შემოსავალს გამოიმუშავებს სხვადასხვა მეწარმეებისთვის პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების მიწოდებით. 2023 წელს კომპანიამ მნიშვნელოვნად გაზარდა შემოსავლები, რაც ძირითადად განპირობებული იყო კომპანიის ბრენდის ბაზარზე ცნობადობის ამაღლებით, აღნიშნულ სერვისზე მოთხოვნისა და კმაყოფილი მომხმარებლების რაოდენობის ზრდით. თვითღირებულების ხარჯი მოიცავს მომსახურების გაწევისთვის საჭირო ლიცენზიებისა და უფლებების ღირებულებებს.

დარიცხული შემოსავალი და გაწეული მომსახურების თვითღირებულება წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

საერთო მოგების გაანგარიშება	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	7,255,595	5,723,381

თვითღირებულების ხარჯი	(4,344,040)	(4,078,474)
საერთო მოგება	2,911,555	1,644,907

9. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. აღნიშნულ სარგებელში ასევე შედის კომპანიის წილი 2% საპენსიო სარგებელი, რომელსაც კომპანია უმატებს თანამშრომელს საკუთარი სახსრებით.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
სახელფასო ხარჯი	1,555,121	1,238,560
საპენსიო და სხვა სარგებელი	64,578	46,577
სულ	1,619,699	1,285,137

10. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯების დეტალური ჩაშლა წარმოდგენილია ცხრილში:

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
იჯარის ხარჯი	138,029	53,099
კომუნალური მომსახურებისა და კომუნიკაციის ხარჯები	18,077	14,289
ბუღალტრული მომსახურების ხარჯი	14,400	14,400
მივლინების ხარჯები	9,919	17,044
მიწოდების ხარჯი	8,345	11,115
საბანკო ხარჯი	5,268	6,940
ოფისის ხარჯები	4,840	249
HR ხარჯები	4,836	2,492
საკონსულტაციო ხარჯი	3,351	7,996
საკანცელარიო ხარჯი	202	2,022
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	11,540	23,174
სულ	218,807	152,820

11. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

11.1 მენეჯმენტის კომპენსაცია

2023 წელს მენეჯმენტის კომპენსაციამ შეადგინა 345,803 ლარი, ხოლო 2022 წელს 314,348 ლარი.

11.2 სასესხო ვალდებულებები

2023 და 2022 წლის ბოლოს, კომპანიას ჰქონდა დამფუძნებლისგან აღებული სესხი 5,250 ლარის ოდენობით.

12. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენებს, რომლებიც მოითხოვს განმარტებით შენიშვნებში აღნიშვნას ან მოითხოვს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას.